საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-343

24/03/2021

ქ. თბილისი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ აჯამეთი 3-ის ფარგლებში „ზესტაფონი 500“ ქვესადგურიდან „ქუთაისი 220“ ქვესადგურამდე არსებული 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „აჯამეთი-1“-ის და „აჯამეთი 2“-ის გაორჯაჭვიანების პროექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერს სამინისტროს მომართა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ დირექტორმა და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

2016 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ აჯამეთი 3-ის ფარგლებში „ზესტაფონი 500“ ქვესადგურიდან „ქუთაისი 220“ ქვესადგურამდე არსებული 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „აჯამეთი-1“-ის და „აჯამეთი 2“-ის გაორჯაჭვიანებაზე გაიცა №34 (27.06.2016) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა მინისტრის ბრძანების პროექტი, რომლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა 2016 წლის №34 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე და საქმიანობის განმახორციელებელს დაეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულება.

ამავდროულად, ძალადაკარგულად ცხადდება „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს „აჯამეთი 3“-ის ფარგლებში „ზესტაფონი 500“ ქვესადგურიდან „ქუთაისი 220“ ქვესადგურამდე არსებული 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „აჯამეთი-1“-ის და „აჯამეთი 2“-ის გაორჯაჭვიანებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 ივნისის №ი-317 ბრძანება, თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით იურიდიულ ძალას ინარჩუნებს 2016 წლის №34 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც დანართის სახით თან დაერთვება მოცემულ გადაწყვეტილებას.

ზემოაღნიშნული გარემოებებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ აჯამეთი 3-ის ფარგლებში „ზესტაფონი 500“ ქვესადგურიდან „ქუთაისი 220“ ქვესადგურამდე არსებული 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „აჯამეთი-1“-ის და „აჯამეთი 2“-ის გაორჯაჭვიანების პროექტზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (დასკვნა №34; 27.06.2016);
2. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას თანდართული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები;
3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს „აჯამეთი 3“-ის ფარგლებში „ზესტაფონი 500“ ქვესადგურიდან „ქუთაისი 220“ ქვესადგურამდე არსებული 220 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის „აჯამეთი-1“-ის და „აჯამეთი 2“-ის გაორჯაჭვიანებაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 27 ივნისის №ი-317 ბრძანება;
5. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
9. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი